

ანნა მ. კვიციანი

# ჩემი კომპიუტერი

დამხმარე საშუალება ინტელექტუალური  
დარღვევის მქონე პირთათვის



საქართველო, Georgia, 2017



## შინაარსი:

სხვადასხვა სახის კომპიუტერები	3
სტაციონალური კომპიუტერი	3
პორტატული კომპიუტერი	4
რა არის კომპიუტერის შიგნით	7
ვიყენებ აპლიკაციებს	9
ტექსტური რედაქტორი	10
საანგარიშო ცხრილი	11
პრეზენტაციის პროგრამა	11
სხვა აპლიკაციები	12
რა შეიძლება შევუერთო კომპიუტერს	14
ყოველთვის არ არის უსაფრთხო	16

## არსებობს სხვადასხვა სახის კომპიუტერები

კომპიუტერი არის მონყობილობა, რომელსაც შეუძლია შენი ბრძანების შესრულება. ბრძანებების გაცემა ხდება სპეციალური მეთოდით. კომპიუტერი შეგვიძლია, გამოვიყენოთ სხვადასხვა სახის სამუშაოებისათვის.



კომპიუტერზე შეიძლება ტექსტების შედგენა და შესწორება. შეიძლება დათვლა. შეიძლება ხატვა. კომპიუტერი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ფოტოაპარატი. კომპიუტერის საშუალებით შეიძლება მუსიკის მოსმენა და ფილმების ყურება. კომპიუტერი შეიძლება გამოვიყენოთ სათამაშოდ.

შესაძლებელი არის ერთი კომპიუტერის სხვა კომპიუტერებთან დაკავშირება.

კომპიუტერის გამოყენება შეიძლება სხვადასხვა მრავალი სამუშაოს შესასრულებლად, თუ მოცემული ფუნქციების შესრულება წინასწარ იყო გათვალისწინებული.

კომპიუტერები იყოფა ორ ჯგუფად: სტაციონარული და პორტატული.



## სტაციონარული კომპიუტერი

სტაციონარული კომპიუტერი არის მონყობილობა, რომლის გადატანაც ხშირად არ ხდება.

იკავებს ბევრ ადგილს, ვინაიდან შედგება რამოდენიმე ნაწილისაგან. უნდა იყოს შეერთებული ელექტროენერგიის წყაროსთან.

სტაციონალური კომპიუტერის მთავარი ნაწილი არის ცენტრალური პროცესორი. ცენტრალური პროცესორი წარმოადგენს ფოლადის ყუთს. მასში განთავსებულია ელექტრონული ნაწილები, რომლის მეშვეობითაც მუშაობს კომპიუტერი.





ცენტრალურ პროცესორთან უნდა იყოს შეერთებული **მონიტორი**. მონიტორი არის ეკრანის მქონე მონყობილობა, რომელზეც ხდება კომპიუტერში მომხდარი პროცესების ასახვა.



**კლავიატურა** ეს არის მონყობილობა, რომელიც შედგება ღილაკებისგან, რომლებზეც ასახულია ასოები, ციფრები და სხვა სიმბოლოები. კლავიატურა განკუთვნილია ტექსტების წერისათვის. სტაციონარულ კომპიუტერში კლავიატურა უნდა იყოს შეერთებული ცენტრალურ პროცესორზე.



**მაუსი** აადვილებს კომპიუტერზე მუშაობას. მაუსის მეშვეობით შეიძლება მონიტორზე მოვნიშნოთ სიმბოლოები. შეიძლება ასევე ტექსტის მონიშვნა. ეკრანზე განთავსებულია მაუსის კურსორი. იგი მოძრაობს ეკრანზე თქვენი ხელით მითითების მიხედვით.



იმისთვის რომ ჩაირთოს პროგრამა, მიუთითეთ მაუსის კურსორით პროგრამის სიმბოლოს დააჭირეთ ორჯერ. მონიტორზე გამოჩნდება არჩეული პროგრამის ფანჯარა.

## პორტატული კომპიუტერები



პორტატული კომპიუტერი ეს არის მონყობილობა, რომელიც განკუთვნილია ხშირად გადატანისათვის, თან ტარებისათვის. ასეთ კომპიუტერს (notebook) ნოუტბუქს ან ლეპტოპს (laptop) უწოდებენ. ოდესღაც ეს მონყობილობები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. დღეს ორივე დასახელება ერთსა და იმავეს ნიშნავს.



ლექტოპი არის კომპიუტერი, რომელშიც ცენტრალური პროცესორი, მონიტორი და კლავიატურა გაერთიანებულია. ლექტოპი იხსნება როგორც ბარდახშა. ზემო ნაწილში განთავსებულია მონიტორი, ხოლო ქვემოთ კლავიატურა და სხვა მონწყობილობები.



ლექტოპი ძალიან მსუბუქია. მისი გადატანა დვილია. ლექტოპი გადატანის დროს უნდა განთავსდეს სპეციალურ ჩანთაში ან ჩასადებში. თუ გაქვთ ლექტოპი, შეეცადეთ, განათავსოთ იგი კარგ ჩანთასა თუ ჩასადებში. კარგი ჩანთა და ჩასადები მას დაიცავს დაზიანებისგან.




ლექტოპები აღჭურვილია touchpad-ით (იკითხება თაჩპადი). Touchpad-ი არის მაუსის შემცვლელი. არ იკავებს ზედმეტ ადგილს და განთავსებულია უშუალოდ ლექტოპზე. Touchpad-ით სარგებლობა მეტად რთულია, ვიდრე მაუსით.



თუ გაქვთ პრობლემა Touchpad-ით სარგებლობის დროს, შეიძლება ლექტოპს შევეერთოთ მაუსი.

ლექტოპები შეიძლება შევაერთოთ დენზე შესაბამისი სადენით. ამ მონწყობილობებს შეუძლიათ ასევე იმუშაონ სათანადო ელემენტზე. გახსოვდეთ, დატენოთ ელემენტი. ელემენტი იტენება, როდესაც ლექტოპი შეერთებულია დენზე. არ იმუშაოთ ლექტოპზე ხანგრძლივად, თუ დენზე შეერთებული არ არის. რამოდენიმე საათში ელემენტი დატდება.



გახსოვდეთ ლექტოპის დენზე შეერთება, როდესაც კი გექნებათ ამის საშუალება.

**სმარტფონი და პლანშეტი** ასევე წარმოადგენენ პორტატულ მონწყობილობებს.

ზოგჯერ მათ მობილურ მონწყობილობასაც უწოდებენ. ასეთი მონწყობილობების ყველაზე დიდ ნაწილს ბრტყელი ეკრანი და გარე ზედაპირზე რამოდენიმე დილაკი წარმოადგენს.





სმარტფონისა და პლანშეტის ეკრანი რეაგირებს თითების შეხებაზე. ასეთ ეკრანს სენსორული ეკრანი ეწოდება. იმისთვის, რომ ვისარგებლოთ სმარტფონით ან პლანშეტით, საჭიროა შევეხოთ ეკრანს საჭირო ადგილას ან გავუსვათ თითი ეკრანს. ამ მოწყობილობებს აქვთ ინტერნეტთან დაკავშირების რამოდენიმე საშუალება.



სმარტფონი ზომით უფრო პატარაა ვიდრე პლანშეტი, ხშირად დიდ ჯიბეში ეტევა. ვიყენებთ მას, როგორც ტელეფონს. შეიძლება დარეკვა და მესიჯების გაგზავნა. ასევე შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც პატარა კომპიუტერი წერისთვის, თამაშისთვის ან მუსიკის მოსმენისათვის.



პლანშეტი იშვიათად გამოიყენება, როგორც ტელეფონი. პლანშეტზე შეიძლება თამაში. შეიძლება ტექსტის დანერა. შეიძლება ფოტოსურათებისა და ფილმების ნახვა. შეიძლება სურათების გადაღება და ვიდეო-ჩანაწერების გაკეთება. შეიძლება ინტერნეტში მუშაობა. შეიძლება მუსიკის მოსმენა.



პლანშეტით ან სმარტფონით შეგვიძლია, საკუთარ თავს სურათი გადავუღოთ. საჭიროა მხოლოდ აპარატის ჩართვა სმარტფონზე ან პლანშეტზე და ხელის სიგრძის დაშორებიდან სურათის გადაღება. ასეთ სურათს სელფი ეწოდება. სელფის გაკეთება მეგობრების ჯგუფთანაც შეიძლება.



## რა არის კომპიუტერის შიგნით

ყველა ინფორმაცია, რომელთანაც გვინვს მუშაობა კომპიუტერის გამოყენების დროს, განთავსებული არის დისკებზე.

**დისკი** - ეს არის მონყობილობა, რომელზეც ინერება ის, რასაც ვწერთ კომპიუტერში.

**მონაცემები** - კომპიუტერის გამორთვის შემთხვევაში არ იკარგება. ამიტომ, როდესაც ერთხელ ჩავწერთ ფოტოსურათს, ის დისკზე მუდამ გვექნება შენახული. ნაიშლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ წავშლით მას ან დისკი გაფუჭდება.



**მყარი დისკი** - ეს არის დისკი, რომელიც განთავსებულია კომპიუტერში. ასევე შეიძლება პორტატული დისკის გამოყენება.



**Pendrive ფლეშკა** (იკითხება: პენდრაივი) ეს არის პორტატული, პატარა დისკი.

ისეთი პატარა ზომების, რომ მისი შენახვა საფულეშიც კი შეიძლება.


გამოიყენეთ პენდრაივი (ფლეშკა), თუ გსურთ, გადაიტანოთ თქვენი დოკუმენტი ერთი კომპიუტერიდან მეორეზე.



ყველაფერს, რაც შეიქმნება კომპიუტერზე, ეწოდება ფაილი.

მუსიკა, ფოტოსურათი, ნახატი, ტექსტი - ამ ყველაფერს ფაილი ეწოდება. დაინსტალირებული თამაში შედგება ფაილების დიდი რაოდენობისაგან.





ყველა ფაილს აქვს დასახელება. საკუთარ ფაილებს, როდესაც პირველად ჩაწერთ დისკზე, თქვენ შეგიძლიათ, მიუთითოთ სახელი.

ფაილს ასევე აქვს ზომა.

თუ პენდრაივზე ან დისკზე ჩაწერთ დიდი რაოდენობის ფაილებს, მოგვიანებით ჩაწერილი ფაილები შეიძლება არ დაეტიოს.



ფაილი შეიძლება შევქმნათ და შემდგომ შევცვალოთ. იმისთვის, რომ გამოვიყენოთ ფაილი, საჭიროა თავდაპირველად შევქმნათ იგი.

შეიძლება მისი დასახელების შეცვლა.

შეიძლება მისი პენდრაივზე დაკოპირება.

შეიძლება მისი წაშლა.



ზოგადად, დისკზე ბევრი ინფორმაცია ინახება.

ფაილები განთავსებულია ფოლდერებში.

ფოლდერი არის კომპიუტერული ქეისის სახეობა.

მასში შეიძლება თემატური ფაილების განთავსება.

ფოლდერები აადვილებენ დისკზე ინფორმაციის დალაგებას. უფრო ადვილია საჭირო ფაილის ძიება.



მაგალითად:


ზოგჯერ მნიშვნელოვანი დოკუმენტი არის ყუთში

ან ქეისში, როგორც ფოლდერებში კომპიუტერის

შემთხვევაში. ყველა თქვენი სურათი შეიძლება,

განვათავსოთ ფოლდერში, რომელსაც

„**ფოტოსურათები**“-ს ვუწოდებთ.



შეიძლება ფოტოსურათების ფოლდერი დავყოთ

რამოდენიმე ფოლდერად, მაგალითად, სხვადასხვა

ღონისძიებების თემატიკად, მსგავსად ფოტო-

ალბომებისა, რომლებიც სხვადასხვა თემატიკის

მიხედვითაა შერჩეული.

დიდი „**ფოტოსურათები**“-ს ფოლდერი შეიძლება

დავყოთ ქვე-ფოლდერებად, მაგალითად:

ჩემი დაბადების დღე, ექსკურსია, ჩემი სამსახური.



ლექტორებსა და პერსონალურ კომპიუტერებში ფოლდერების ნახვა შეგვიძლია „ჩემი კომპიუტერი“-ს გამოყენებით.

სმარტფონებში ამ ფუნქციას ასრულებენ სხვა სახეობის ფაილების მენეჯერები.



## ვიყენებ აპლიკაციებს

აპლიკაცია არის პროგრამა, რომელსაც ვრთავთ კომპიუტერში. ყველა თამაშის, ფილმის ან მუსიკის ჩართვას ესაჭიროება აპლიკაცია. აპლიკაცია ინსტალირდება სისტემაში. ამისთვის საჭიროა საინსტალაციო პროგრამა.

ძალიან ფრთხილად ამოირჩიეთ აპლიკაციები ინსტალირებისათვის. ყველა აპლიკაცია უსაფრთხო არ არის. არ დააინსტალიროთ აპლიკაცია, თუ არაფერი იცი მის შესახებ. ინტერნეტში მოძიებული აპლიკაციების ინსტალირებას თავი აარიდეთ.


ყურადღებით იყავით აპლიკაციის ინსტალაციის დროს, რადგად მან შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი სხვა პროგრამების ინსტალაცია.

პროგრამები ყოველთვის არ არის უსაფრთხო შენი კომპიუტერებისა და მონაცემებისათვის.

**აპკა** - ეს არის აპლიკაციის შემოკლებული დასახელება პლანშეტსა და სმარტფონზე.

**დოკუმენტი** - არის ფაილი, რომელიც შეიქმნა აპლიკაციაში და ჩაინერა კომპიუტერში.

მაგალითად: ტექსტი, სიმღერა ან ფილმი წარმოადგენს დოკუმენტს. ყველა დოკუმენტს უნდა ჰქონდეს დასახელება და იყოს განთავსებული დისკზე, ფოლდერში.





როდესაც ვუყურებთ ჩართული კომპიუტერის მონიტორს, ვხედავთ დიდი რაოდენობით სიმბოლოებს. ამ სიმბოლოებს აიკონები ეწოდება. აიკონები არის აპლიკაციების სიმბოლოები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მათი ჩართვა.

აიკონი არის ასევე დოკუმენტის სიმბოლო, რომლის შექმნის საშუალებაც გვაქვს.

## ტექსტის რედაქტორი



ტექსტის რედაქტორი არის აპლიკაცია, რომელშიც შეიძლება ტექსტის შექმნა- წერილის, ლექსის, მოთხრობის წერა.

ტექსტის რედაქტორში შეიძლება სხვადასხვა სახის, ფორმის, ზომის, ფერის ასოებით წერა.

ასევე ადვილია შეცდომების შესწორება.



შექმნილი ტექსტი უნდა ჩაიწეროს იმისთვის, რომ არ წაიშალოს რედაქტორის დახურვის შემდგომ.

ამ ფორმით ჩაწერილ ტექსტს დოკუმენტი ეწოდება.

დოკუმენტის ჩაწერის დროს, მომხმარებელი ირჩევს ფოლდერს და დოკუმენტის დასახელებას.

ყველაზე პოპულარული ტექსტის რედაქტორებია: Microsoft Word და Open Office Word.



## საანგარიშო ცხრილი

საანგარიშო ცხრილი არის აპლიკაცია, რომელშიც შეიძლება ანგარიშის შესრულება. ცხრილში უნდა ჩავწეროთ მონაცემები. უჯრედებში შეიძლება ციფრების ჩანერა. ასევე შეიძლება, მეზობელ უჯრედში ჩავწეროთ ტექსტი. შეიძლება წერა სხვადასხვა ფერებით. შეიძლება უჯრედების გაფერადება. უჯრედში შეიძლება არითმეტიკული მაგალითის ჩანერა, ანუ მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა.



	A	B	C	D
1	Liczby	Dodaj	Odejmij	Mnóż
2		12	15	9
3		3		36


მაგალითად: მოცემული სერიის წიგნაკში, რომელსაც ეწოდება „ჩემი ხარჯები“ არის ცხრილი, რომელიც ასახავს ხარჯების გეგმას. მსგავსი ცხრილის შექმნა თქვენც შეგიძლიათ საანგარიშო ცხრილში.

შეიძლება ხარჯების ჩანერა. იმ შემთხვევაში, თუ კარგად ჩავწეროთ მოქმედებებს უჯრედებში, ცხრილი თვითონ გამოგვიანგარიშებს ხარჯის რაოდენობას.

შეტანილი მონაცემები უნდა დავამახსოვრებინოთ, რომ პროგრამის გამორთვის შემდგომ არ წაგვეშალოს ინფორმაცია.

ჩანერილ დოკუმენტს ასევე საანგარიშო ცხრილი ეწოდება.

ყველაზე პოპულარული საანგარიშო ცხრილის პროგრამებია: Microsoft Excel და Open Office Calc.



Moje wydatki	
Wyżywienie	
1. pieczywo	3 zł
2. wędliny	11 zł
3. warzywa	5 zł
<b>RAZEM</b>	<b>19 zł</b>
Opłaty związane z mieszkaniem	
1. czynsz	200 zł
2. prąd	36 zł
3. woda	24 zł
<b>RAZEM</b>	<b>260 zł</b>

## პრეზენტაციის პროგრამა

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა რაიმე სახის კურსებზე? ან ყოფილხართ თუ არა კონფერენციაზე? გახსოვთ თუ არა გრაფიკული მონაცემები დაფაზე ან თეთრ ეკრანზე? მსგავსი გრაფიკული მონაცემები ძალიან გამოსადეგია. წამყვანი იყენებდა პრეზენტაციას. ჩანერილი ჰქონდა კომპიუტერზე. მსგავსი პრეზენტაციები პრეზენტაციის პროგრამაში კეთდება.







პრეზენტაციის პროგრამა არის გრაფიკული მონაცემების, მათი აღწერისა და ილუსტრაციებისათვის.

დოკუმენტი შედგება გრაფიკებისაგან, რომელსაც პრეზენტაციას ვუწოდებთ.



თითოეულ ასეთ გვერდს ვუწოდებთ სლაიდს.

სლაიდზე შეიძლება ტექსტის, გრაფიკის, ნახატის, ხაზების, ისრებისა და სხვა ფიგურების განთავსება.

შეიძლება ასევე მუსიკის ან ვიდეოს ჩასმა.

ყოველი პრეზენტაცია უნდა ჩავინეროთ იმისთვის, რომ პროგრამის გამორთვის შემდეგ მონაცემები არ წაიშალოს.

ყველაზე პოპულარული პრეზენტაციის პროგრამებია: Microsoft Power Point და Open Office Impress.

## სხვა აპლიკაციები



**გრაფიკული რედაქტორები** არის აპლიკაციები ხატვისათვის და სურათების რედაქტირებისათვის.

შეიძლება საკუთარი ნახატების შექმნა.

შეიძლება ფოტოსურათების შესწორება.


შეიძლება სხვადასხვა ფორმებისა და სიმბოლოების კომპლექტების გამოყენება, რომლებიც ასევე მოცემულ რედაქტორშია ხელმისაწვდომი. შეიძლება გამოვიყენოთ ფერების უდიდესი რაოდენობა ფორმების გასაფერადებლად/გასაფორმებლად.



იმისთვის რომ დავხატოთ ნახატი, საჭიროა, ავირჩიოთ მენიუში ფუნჯი ან ფანქარი. ავამოძრაოთ მაუსი ისე, თითქოს მაუსით ვცდილობთ, დავხატოთ მაგიდაზე. ასეთი მოძრაობის მეშვეობით, მონიტორზე თქვენი ნახატი წარმოიქმნება. არსებობს გრაფიკული პროგრამების დიდი რაოდენობა:

Paint, Draw, IrfanView, Gimp, Photoshop.

იმისთვის, რომ კომფორტულად ვიმუშაოთ პერსონალურ კომპიუტერზე, ლეპტოპზე, პლანშეტსა და სმარტფონზე, შეიძლება ეკრანის ფონზე თქვენთვის საურველი სურათის დაყენება. ეკრანის ფონი არის სურათი, რომელიც ეკრანის ფონზე შეიძლება განვათავსოთ. ყველა მონაცხობილობაში არის წინასწარ მომზადებული ფონები. ფონს შეიძლება წარმოადგენდეს გრაფიკულ რედაქტორში შექმნილი ნახატი.



დანადგარის ჩართვის შემდგომ, მონიტორზე გამოჩნდება დესკტოპი. დესკტოპზე განთავსებულია აპლიკაციების აიკონები.


დესკტოპზე შეიძლება იყოს დაყენებული ფონი. ზემო სურათზე გამოსახულია სმარტფონის ფონზე დაყენებული ძაღლის სურათი.



თუ კომპიუტერის გამოყენება რთული გეჩვენებათ, გამოიყენეთ ფუნქცია ადვილი ხელმისაწვდომობა. ერთ-ერთი ფუნქცია არის ლუპა.

პროგრამა ლუპა ადიდებს თქვენს მიერ მითითებული ეკრანის ფრაგმენტებს.


თუ კომპიუტერის გამოყენება რთული გეჩვენებათ, გამოიყენეთ ფუნქცია ადვილი ხელმისაწვდომობა. ერთ-ერთი ფუნქცია არის ლუპა. პროგრამა ლუპა ადიდებს თქვენს მიერ მითითებული ეკრანის ფრაგმენტებს.



შემდეგი გამაადვილებელი ფუნქცია არის ტექსტის კარნახი, რომელიც ავტომატურად იწერება.

ყველა ხელსაწყოში შეიძლება ასეთი ფუნქციების მოძებნა.

არსებობს ასევე სხვა აპლიკაციები, რომლებიც კომპიუტერით სარგებლობას აადვილებს.








## რა შეიძლება შევუერთო კომპიუტერს



ხშირად გვესაჭიროება დოკუმენტის ამობეჭდვა. ამისთვის გვჭირდება პრინტერი. პრინტერი შეიძლება შევაერთოთ როგორც პერსონალურ კომპიუტერთან, ასევე ლეპტოპთან. ამობეჭდვამდე შეამოწმეთ არის თუ არა პრინტერში ქაღალდი. ზოგიერთ პრინტერს აქვს ფერადი ამობეჭდვის ფუნქციაც. ზოგიერთ პრინტერს მხოლოდ შავ-თეთრი ამობეჭდვის ფუნქცია აქვს.




იმისთვის, რომ ამოვბეჭდოთ დოკუმენტი, საჭიროა პრინტერის აპლიკაციის აიკონის მოძებნა. შეიძლება ასევე მენიუში მოვიძიოთ პოზიცია „ფაილი“ და პოზიცია „ამობეჭდვა“.



ბაზარზე სიახლეს წარმოადგენს 3D პრინტერები. ეს არის პრინტერები, რომლებიც ქმნიან ფიგურებს. ხშირად პლასტიკური მასალა გამოიყენება. ფიგურის შესაქმნელად ხშირად პლასტიკური, ფოლადის ან შოკოლადის მასალა გამოიყენება. 3D პრინტერები ქმნიან სათამაშოებს, ტანსაცმელს, პროტეზებს და შოკოლადის ფიგურებს.



**სკანერი** არის მონყობილობა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დისკზე ჩავინეროთ სურათი ან ტექსტი, რომელიც მართო ფურცელზე გვაქვს. საჭიროა, ფურცელი ჩავდოთ სკანერში. სკანერი აკეთებს ფურცლის ასლს და წერს კომპიუტერში ფაილს. სხვადასხვა



პატარა რგოლი გლუვი ზედაპირით წარმოადგენს CD ან DVD -ს .

CD -ზე და DVD -ზე შეიძლება დიდი რაოდენობის ფაილების ჩანერა.

DVD დისკზე უფრო მეტი ფაილი ეტევა, ვიდრე CD დისკზე.



დისკებზე ხშირად ჩანერილია ფილმები, მუსიკა ან პროგრამების საინსტალაციო ვერსიები.

ასევე CD და DVD დისკებზე ინახავენ მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლებს. მსგავსი დისკების უმრავლესობიდან არ შეიძლება ჩანერილი ინფორმაციის წაშლა.



იზრუნეთ იმაზე, რომ დისკი იყოს ყოველთვის სუფთა. თუ გლუვ ბედაპირზე შენიშნავთ თითების ანაბეჭდებს, განმინდეთ რბილი ხელსახოცის მეშვეობით.

თუ დისკზე აღმოაჩენთ ბზარებს, მაშინ შეგიძლიათ კბილის პასტით განმინდოთ იგი.

კბილის პასტა უნდა იყოს გრანულების გარეშე.

შემდგომ გადაავლეთ თბილი წყალი დისკს და შეამშრალეთ რბილი ხელსახოცით.



იმისთვის, რომ გავეცნოთ დისკის ინფორმაციას, გვესაჭიროება კომპიუტერზე CD - DVD-ის წამკითხავი მონწყობილობა. ხშირად ასეთი მონწყობილობები სტაციონარულ კომპიუტერებსა და ლეპტოპებში დამონტეჟებულია.





## ყველთვის არ არის უსაფრთხო



### მოერიდეთ ვირუსებს!

**ვირუსი** - მავნე პროგრამაა, რომელმაც შეიძლება თქვენი კომპიუტერის ფუნქციონირება დაარღვიოს. ყველაზე მავნე ვირუსებს შეუძლია, მონყობილობა მწყობრიდან გამოიყვანოს.

ვირუსი არ ჩანს. ჩანს მარტო მისი ფუნქციონირების მავნე ეფექტები.



### საიდან ჩნდება ვირუსები?

მათ ადამიანები ქმნიან. ზოგჯერ სულელური ხუმრობის მიზნით. ზოგჯერ სურთ, მოცემული მეთოდით ვინმეს ზიანი მიაყენონ. ვირუსები ხშირად კოპირდება მონაცემების პენდრაივზე გადატანის ან დაკოპირების დროს. ვირუსები ხშირად იჩენენ თავს არალიცენზირებული პროგრამების დაყენების დროს. ვირუსები ხშირად შემოდის ინტერნეტიდან.



ყველა მონყობილობაზე უნდა იყოს დაინსტალირებული ანტივირუსული პროგრამა. ეს არის პროგრამა, რომელიც ამოწმებს ფაილებს, რომლებიც იქმნება და იწერება კომპიუტერში. ფაილი, რომელსაც ვირუსი აქვს, იშლება. არსებობს უფასო ანტივირუსული პროგრამები.

### გახსოვდეთ!

**არ ჩაიწეროთ კომპიუტერზე ფაილები, რომელზეც არ არის დაინსტალირებული ანტივირუსული პროგრამა.**

**არ ჩაიწეროთ კომპიუტერზე არაფერი, თუ მოცემული პროგრამა არ მუშაობს.**